

# შინაური საქმეები

№ 26

ქვიზი, 15 აგვისტო, 1910 წ. №

დრესი: ქუთაისი, შინაური  
საქმეების რედაქცია.

## ყოველკვირეული გაზეთი.

**შინაური:** 1) ჭირმა თავი არ დამალა! 2) უფ-  
ლებო ეკლესია — ერისგანისა. 3) ბიჭვინტის ღვთის-  
მშობლის საღაო ხატი — ხელისა; 4) ორიოდ სიტყვა  
მონაზონობის შესახებ — ო. მწირისა; 5) მარტილის

მონასტერი — მარტილელი მღვდლისა, 6) იღუბება ღი-  
დებული ტაძარი — მღვდ. ბ. ვაშაძისა, 7) საეკლესიო  
ტიბიკონი, ბრძნული განკარგულება და მადლობის  
გამოცხადება.

ყოველკვირეულ გაზეთ

### „შინაურ საქმეებს“

ხელის მწერს მიიღება რედაქციაში, ქ. ქუ-  
თაისში (საბურთაღო — კახაკოვის შესახვევ-  
ში № 17) და თბილისში გამომცემელთან  
სომხის ბაზაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.  
გაზეთი ღებულობს დასაბეჭ-  
დათ ყოველგვარ განცხადებებს.

### ჭირმა თავი არ დამალა!

ქართველი საზოგადოება რომ სამ-  
შობლო ეურნალ-გაზეთებს და საზოგა-  
დოთ ლიტერატურას არ სწყალობს, ეს  
ქეშმარიტება არ ახალია — ძველია. აგრე-  
თვე ერთი საუკუნის ქეშმარიტებაა, რომ  
ქართველმა სამღვდლოებამ მწიგნობრო-  
ბას უღალატა და უფიცობაში მოიკალა-  
თა. აღარც სააქაო და აღარც საიქიო  
მას არ აინტერესებს, სერიოზული მსოფ-

ლიო საკითხები მქადის ყუაზე გაუცვლია  
და თავისი დიადი მოვალეობა მხოლოდ  
მღვდელ-მოქმედების უსულგულო და  
შეუგნებელ ასრულებაში დაუსახავს;  
იგი მანქანათ გადაქცეულა, მანქანათ,  
რომელიც მხოლოდ მაშინ ამოძრავდება,  
როცა ხელს წაკრავენ ან ვინტს გაღუ-  
ბრუნებენ. ამოძრავდება რა თქმა უნდა,  
მოძრაობის მიზნის შეუგნებლათ, პასსია  
ურათ.

უწინ თუ მწიგნობრობა და სწავლა  
მეცნიერება სამღვდლოებიდან გამოდი-  
ოდა, ეხლა იგი ისე დაიკეტა, რომ, არა  
თუ რაიმე თვითონ გამოსცეს, არამედ  
მიმღებობის ნიჭიც დაკარგა. და სწორეთ  
ამით აიხსნება ის სამწუხ. მოვლენა, რომ  
საზოგადოთ ლიტერატურა და კერძოთ  
საღვთისმეტყველო ვერ იკიდებს ფეხს  
დღევანდელ მოძღვართა შორის. ეს აზ-  
რი კაი ხანია გამოსთქვა ბ. საფეველელომა  
და ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია, სამწუნა-  
როთ ჩვენდა, დავემოწმოთ. ამის შემდეგ  
რა გასაკვირვალა, რომ „შინაური საქ-  
მეების“ მკითხველების წრე იწრო იყოს  
და მისი შემოსავალი მცირე. ეს თვე ნა-  
ხევარია, რაც ჩვენი გამოცემა შეჩერე-  
ბულია. შეჩერებულია არა იმიტომ, რომ



დავიღალეთ, მოგვწყინდა, ან მიმართულებას ვუღალატეთ, არა. მიტომ შეჩერდა, რომ არსებობის სახსარი შემოაკლდა. რედაქტორი მდიდარი არა ყავს, რომ თავის ხარჯით აწარმოვოს, ხელისმომწერნი კი, რომლებიც სამასს ძლივს აღემატებიან, ნახევრობით ფულს არ გვიგზავნიან. ასე გასინჯეთ, წასული ორი წლის ანგარიში კიდევ ირიცხება ხელის მომწერლებზე ოთხას მანეთამდის. ამ ამბავს არ გამოვამყლავნებდით, რომ ბევრისაგან საყვედურის წერილები არ მოგვიღოდეს. საყვედურს, რა თქმა უნდა, გვემართლებიან ის პატივცემულნი პირნი, რომელთაც წლის ფასი შემოიიტანეს და ბოდიშსაც ვიხდით მათ წინაშე, ხოლო იმედი გვაქვს მიიღებენ მხედველობაში ზემოხსენებულ გარემოებას და გვაპატიებენ. რაც შეეხება გამოცემის მომავალ ბედ იღბალს, უკიდურესი უსახსრობის გამო, იგი საესებით ქართველ სამღვდლოების თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

როგორც დარწმუნდებოდა მკითხველი საზოგადოება, ჩვენ გამოცემას არავითარი პარტიული, ან იწრო ნაციონალური მიმართულება არა აქვს. იგი ემსახურება ისეთ საგანს, რომლის გარეშეც სიცოცხლე და ქვეყნიური ბედნიერება არარაა, ამაოა, კვამლია და ცვარი განთიადისა; იგი ემსახურება სარწმუნოებას, რომლის გარეშე არ სცნობს კაცობრიობის ბედნიერებას და მის კეთილ მომავალს; იგი შეძლებისადაგვართ იცავს მას იმ ვეშაბთაგან, რომელთაც სურთ შთანთქან იგი და მით მოუსპონ ადამიანს ერთათ ერთი გზის მაჩვენებელი და წუთისოფლის წყვილადში მნათობელი ვარსკვლავი; იგი იღვწის, რაც შეუძლია, უზრუნველყოს ქრისტეს ნათელი მოძღვრება ასეთ მხეცთაგან. შესაძლებელია, ამ მიზნით ბევრსაც აწყენია ჩვენმა გამოცემამ, მაგრამ უამისოთაც არ შეიძლება.

ასეთი მიმართულების გამოცემას, ეკვი არ არის, უნდა დაინტერესებია ჩვენი სასულიერო წოდება, უნდა აღეძრა მათში სურვილი მისი ფართო გავრცელებისა, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, სამღვდლოებაშიც გაქრა სული კეთილმსახურებისა და მორწმუნოებისა, სამღვდლოება დაეცა სულიერათ, მარტილი განქარდა, სანთელი ხვიმირსა ქვეშე დაიდგა და ეხლა მას, სამღვდლოებას, უნდა გამოღვიძება და გამოკეთება.

ენა რომ მოგვქრან, მაინც ვიტყვი, რომ სამღვდლოების ასეთი სიძაბუნე, დაქვეითება, დაზანტება, ყურმოთელილობა სარწმუნოებისადმი და თავის მოვალეობის შეუგნებლობა უმეტეს შემთხვევაში სას. მართებლობის ბრალია. მართებლობა გულგრილია ჰკილია თავის საქმეს, არ აქეზებს, არ ახალისებს სამღვდლოებას, არ სდევნის მკონარებს, არამედ წინააღმდეგ აჩინოვნიკებს და აწინაურებს იმათ, ვინც კაი ჰკმა იცის და კაი ძილი, ვინც არაფერს კითხულობს, არაფერს სწერს, არ ადევნებს თვალყურს თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობას, არ ქადაგობს, არ იღვწის სარწმუნოების განმტკიცებისა და ხალხში სინათლის შეტანისათვის. ყოველი მხრიდან ისმის მღვდლების ტირილ-ყვილი, რომ შემოსავალმა იკლო, ხალხი არაფერს იძლევა, მაგრამ ერთიც არავისაგან გაგვიგონია: ხალხს შველა უნდა, შერყეულ სარწმუნოებას განმტკიცება ეჭირვება, საჭიროა თავდადებული მოძღვრები, საჭიროა წიგნები, წიგნაკები, ჟურნალები, გაზეთები ხალხისა და სამღვდლოების საკითხავათ და განსავითარებლათო. წინააღმდეგ, დღევანდელი სამღვდლოების დევიზია: „აქეთ მოგვეციოთ და იქით ნურაფერს გვთხოვოთ“-ო. რომ ასე არ იყოს, განა დიდი საქმეა მღვდელმა წელიწადში ოთხმანეთიანი გაზეთი გამოიწეროს და ორი თუ სამი მანეთი საზოგადო, საღვთო, სარწმუნო-

ების საქმისთვის გადასდოს). მღვდელმა, რომელიც წელიწადში ხუთი-ექვსი თუმნისას მარტო თუთუნს სწევს და ამოდენსაც უგზო უკვლოთ ფანტავს საჩივრებდონოსებში?!

### უუფლებო ეკლესია\*)

(ისტორიულ-კანონიკური სპრაგაკ)

„უფალო...სულსა მთავრობის მოყვარებისასა ნუ მიმცემ მე“  
ფერემ სირელი.

ჯერ კიდევ პუშკინი მოყავდა აღტაცებაში ამ სადიდმარხვო ლოცვას, რომელიც შესთხვავს უფალს „სულსა სიმდაბლისა და სიყვარულისასა“, ვინაიდან მეორე ლოცვა ხმობს: „შეგცოდეთ, ვიუსჯულოეთ, ვიუსამართლეთ“...

„Церк. Вѣд.“-ის უკანასკნელ ნომრებში გამოქვეყნებულია რამდენიმე საბუთი, რომლებიც ახასიათებენ ახალ ექსარხოსის შეხედულებას საქართველოს ეკლესიაზე და მის დამოკიდებულებას ამ ეკლესიის სამწყსოსა და სამღვდლოებასთან; მაგრამ მათში გამოთქმული აზრები მეტათ ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს. ასე რომ, ტამბოვში, როცა სემინარიელ შაგირდებს ეთხოვება, ყოველად-სამღვდლო ინოკენტი ბრძანებს, რომ მიემგზავრება „შორეულ მისთვის უცხო მხარეში“, ხოლო თბილისში ჩამოსვლისას სიონის სობოროში გრძნობიერ სიტყვაში ბრძანებს: „სიყვარულით მოვიკითხავ დედა-ღვთისას წილხთომილ ივერიის ეკლესიას... ნეტარ ვყოფ და ვადიდებ წმ. მოციქულთ ანდრია პირველწოდებულს, ბართლომეს და სიმონ კანანელს, ამ ქვეყნის მახარობლებს და წმ. მოციქულთა სწორს, ქართველთ განმანათლებელს ნინოს“. შემდეგ მოიგონებს რა „ძველი ივერიის სამეფოს თვითარსებობისათვის ბრძოლის საუ-

კუნოებს“, —მისი მეუფება განაგრძობს; „განცვიფრების ღირსია, თუ რანაირათ დაცულ იქნა მართლმადიდებელი სარწმუნოება ივერიაში ამოდენ ბრძოლასა და უბედურებაში, როგორ არ დაიბუკა, არ შესუსტდა, არ განილია!.. მწყვესურ გულის მოვალეობათ მიმანია ამ მცხოვან ტაძრის კედელთა შორის, რომელიც მოწამეა განვლილ ომთა და ურთიერთ ბრძოლათა, ქებით შევამკო ქართველი ხალხი მისთვის, რომ მან მოციქულთა დროიდან დაწყებული შეინახა, დაიცვა უვნებლათ წმიდა თესლი მართლმადიდებლობისა, გამოიტანა მამათა სარწმუნოება მძიმე ბრძოლათა გრძელ საუკუნოების განმავლობაში მთელი და შეუბღალავი“.

გეგონებათ, რომ მისმა მეუფებამ ნამდვილ კილოს (ТОНЪ) მიაგნო და მოხერხებულათ შეეხო ხალხის სულის თვით გრძნობიერ სიმს. ხოლო, როდესაც იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების მორიგმა კრებამ მიულოცა მას მშვიდობით ჩამობრძანება საექსარხოსოში და გამოსთქვა სურვილი: „რომ უზენაესმა მიანიჭოს მას ძალა და მხნეობა ივერიის მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის განახლებისა და უფლებების აღდგენისათვის“ —ექსარხოსმა გაუგზავნა კრებას ყდ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის სახელზე შემდეგი შინაარსის ტელეგრამა: „გთხოვთ, თქვენო ყდ უსამღვდლოესობავე, გადასცეთ ჩემი მადლობა თქვენი ეპარქიის დეპუტატთა კრებას ჩემი საექსარხოსოში შემოსვლის მოლოცვისათვის. მშვიდობიანი შრომა რუსეთის ეკლესიისგან განუყოფელათ დამორჩილებულ ივერიის ეკლესიის კეთილდღეობისათვის, სამართლიანი მოპყრობა ყველა ამ ეკლესიის შვილთადმი, განურჩევლათ ხალხოსნობისა ჩემი მოვალეობაა. განა მე სრულიად უარს ვამბობ ხელი შეუწყო ივერიის ეკლესიის რალაც მისწრაფებათა და უფლებათა აღდგენას“.

ამ ექსარხოსის პასუხში უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე მუხლი, რომლებიც ისტორიულ-კანონიკურ განმარტებას თხოულობენ.

- 1) განუყოფლობა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებისა; 2) დამორჩილება უკა-

\*) ამ სათაურით მოთავსებულია გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ში წერილი ვილაც ერისგანიო (Мірянинъ), რომელიც სრულიათ მოგვეყვს. № 114—1910 წ.

ნასკნელისა პირველისაგან; 3) სამართლიანი მოპყრობა საქართველოს სამწყსოსადმი, განურჩევლათ ხალხოსნობისა; 4) უარის თქმა ექსარხოსისაგან, რომ ხელი შეუწყოს ივერიის ეკლესიის რაღაც (ე. ი. ავტოკეფალურ) უფლებათა აღდგინებას.

1. პირველ მუხლზე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროიდან, როდესაც პირველ მსოფლიო კრებაზე 325 წელს დადგინდა სიბოლო სარწმუნოებისა, რომელიც მაშინვე მიიღო ივერიის ეკლესიამ, იგი დღემდე აღიარებს მართლმადიდებელ ეკლესიის „ერთობას“ სიტყვებით: „(მრწამს) ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, და ამ აზრით იგი აღიარებს თავის ერთობას და განუყოფელობას მთელ მსოფლიო ეკლესიასთან, და მაშასადამე, რუსეთის ეკლესიასთანაც, ხოლო შეერთებისათვის და შედუღებისათვის საქართველოს ეკლესიისა რუსეთის ეკლესიასთან არასოდეს არ არსებობდა და არც არსებობს არავითარი აქტი არც საერო და არც სასულიერო მხრით წარმოშობილი. ეკლესიის შეერთებას, როგორც ცნობილია, ვერ მოახერხა არა თუ სინოდი ანუ ადგილობრივი კრება, არამედ მსოფლიო კრებაც ხსენებულ ეკლესიის მწყემსთა და სამწყსოს ნებისა და სურვილის წინააღმდეგ. ოფიციალურ აქტებში, აგრეთვე უმაღლესათ დამტკიცებულ სინოდის მოხსენებაში 1811 წ. საქართველოს სამღვდლოების მართვა-გამგეობაზე, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი შესახებ საქართველოს და რუსეთის ეკლესიების „შეერთებისა“, არამედ ნათქვამია, რომ საქართველოს ეკლესიური მართველობა იქნება „სინოდის უწყებაში, რომლის ექსარხოსი ჩაირიცხება „უფროსათ“ (начальникъ) საქართველოს სამღვდლოებისა“, და არა ეკლესიისა. „უწყება“ და ეკლესია ორი სხვადასხვა ცნებაა. სამსახურიდან იძულებით გადაყენებულ ქათალიკოსს ანტონ II კი არ აღუძრავს არავითარი შუამდგომლობა არც თავის დათხოვნის შესახებ და არც ქათალიკოსობის მოსპობისა და ექსარხოსობის შემოღების შესახებ.

რუსეთ-საბერძნეთის ეკლესია, როგორც ასეთი, უეჭველია, უნდა იცავდეს საბერძნეთის ეკლესიის მართვა-გამგეობის წესრიგს, ხოლო ბიზანტიის იმპერიაში, როგორც ესაოსმალეთში, იყო ოთხი თვითმდგომარე (დამოუკიდებელი) საპატრიარქო და რამოდენიმე ავტოკეფალური ეკლესია. თუმცა ეგვიპტე, სირია და პალესტინა სამოქალაქო და სამხედრო მხრით დამოკიდებული იყო კონსტანტინეპოლის ცენტრალურ მართებლობა-საგან, მაგრამ ხსენებული პროვინციების პატრიარქები არ ყოფილან დამოკიდებული კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან. შემდეგ, ცნობილია, რომ, როცა იმპერატორმა ბასილ ბულგარტ-მებრძოლმა მეთერთმეტე საუკუნეში, შემდეგ ოცი წლის ბრძოლისა, დაიპყრო ბულგარეთი, ვერ გაბედა ოხრიდის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო დაემორჩილება კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის. ასე დიდი პატივით ეპყრობოდენ ეკლესიის უფლებებს და მის დამოუკიდებლობას ბიზანტიის. ის მეფეებიც კი, რომელთა ცხოვრების მიზანს შეადგენდა სხვადასხვა ქვეყნების და ხალხების დაპყრობა-დამორჩილება!

უმეტესი უნდა ითქვას საქართველოს ეკლესიაზე, რადგან საქართველო იარაღით დაპყრობილი ქვეყანა არ არის. რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულობის მერვე არტიკულში დაცულია ყოველგვარი უფლება საქართველოს ეკლესიისა, ხოლო პავლე პირველის და ალექსანდრე პირველის მანდიტებში შესახებ საქართველოს შემოერთების ერთი სიტყვაც არაფერია ნათქვამი შესახებ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის უფლებების შეზღუდვისა. ერთი სიტყვით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა არ ნიშნავს რუსეთ-საქართველოს ეკლესიის განყოფას სწორეთ აკრეთვე, როგორც არსებობდა ალექსანდრიის, იერუსალიმის, ანტიოქიის და კვიპროსის ეკლესიებისა არ არღვევს მართლმადიდებელ ეკლესიის ერთობას. წინააღმდეგ, საქართველოს ეკლესია ყოველთვის მხარს უჭერდა მართლმადიდებელ ეკლესიების ერთობასა და თვითმდგომარეობას (დამოუკი-

დებლობას): მაგალი., როცა 1439 წელს ფლორენტიანის კრებაზე რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელი მოსკოვის მიტროპოლიტი ინილორე შეუერთდა უნიას (შემდეგ მან მიიღო კათოლიკობა და კარდინალობის ხარისხით გარდაიცვალა რომში და დამარხულია წმ. პეტრეს საკრებულო ტაძარში), საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელმა მიტროპოლიტმა გრიგორიმ პროტესტი განაცხადა აზი წინააღმდეგ და დასტოვა კრება.

2. მეორე მუხლი ექსარხოსან პასუხისა ამბობს, რომ საქართველოს ეკლესია „ხელქვეშეთია“ (დამორჩილებულია) რუსეთის ეკლესიისა. აქ კიდევ არეულია „ეკლესია“ და „უწყება“. საქართველოს ეკლესიას, რომელიც დაარსდა მეოთხე საუკუნეში, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიო და ადგილობრივ კრებებზე, რომელმაც შემოწავა თავის ჩვეულებანი, გადმოცემანი და საკრებულო დადგენილებანი, რომელმაც შეადგინა განსაკუთრებული სამღვთო მსახურებანი და დღესასწაულნი მოსახსენებელათ თვისთა წმინდანთა, მოწამეთა, პატივცემულ ხატთა და შემთხვევათა თავის საეკლესიო-საერო ცხოვრებიდან სწორეთ 1811 წლამდის,—ასეთ ეკლესიას განა შეეძლო კანონიკურ საფუძველზე „დამორჩილებოდა“ რუსეთის ეკლესიას, რომელიც დაარსდა შვიდი მსოფლიო კრების შემდეგ და შემდეგ ეკლესიების დაყოფისა აღმოსავლეთ-დასავლეთათ და რომელმაც იმპერატორ პეტრეს დროს მიიღო საერო მართებლობის თაოსნობით სასულიერო რეგლამენტი საეკლესიო მარხვა-გამგეობისა?

ოფციალურ აქტებში არსად კრთი სიტყვა არ არის საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისადმი დახელქვეითებისა. ერთათ ერთი მიზეზი ექსარხოსის გამოგზავნისა, რომელიც ნაჩვენებია აქტებში,—საქართველოს საეკლესიო მეურნეობის არეგ-დარევაა უკანასკნელ კათალიკოსის ანტონ მეორის დროს.

ექსარხოსს გზავნის უწ. სინოდი, ეთომ შეკრეულ საეკლესიო მეურნეობის ცნობაში და წესრიგში მოსაყვანათ. მისი დანიშნულება, შეგვიძლია ვსთქვათ, იყო ადმინისტრაციულ-

ფისკალური, ეკონომიური ან ოჯახური, რომელიც არ ეხებოდა ეკლესიის არსებას. ექსარხოსებს ძველათაც გზავნიდნენ აღმოსავლეთში დროებით, როგორც რევიზორს, კონტროლერს ან დამქვირვებულ კათედრების მოადგილეთ, მაგრამ გზავნიდნენ ისევ პატრიარქები და არა უპატრიარქო სინოდები. მეურნეობის მხრით ექსარხოსობამ ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მათე ამყარებდნენ. საეკლესიო მართვა გამგეობის არც ერთ მხარეზე არ ქონია ასი წლის ექსარხოსობის მართველობას ისეთი გამანადგურებელი და გამატიალბელი გავლენა, როგორც საეკლესიო მეურნეობაზე, რომელიც ხშირათ მძარცველობას წარმოადგენდა. ამნაირათ, მრავალ მილიონათ ღირებული საეკლესიო ქონება საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბ.), დაწყებული ექსარხოს თეოფილაქტე რუსანოვის (1818 წ.) ეკსპროპრიაციიდან, რომელმაც ორივე მხრივ რამოდენიმე კაცი, სასულიერო თუ საერო, იმსხვერპლა და რომელმაც აჯანყება არ მოახდინა იმერეთში მხოლოდ ა. პ. ერმოლოვის ზომიერ პოლიტიკის მეოხებით,—უმეტესი ნაწილი საეკლესიო მამულებისა შერაცხილ იქმნა სახაზინოთ, უმცირესი კი გაიყიდა სულ მუქთად: აგრეთვე 1864 წ. განთავისუფლებულ საეკლესიო გლეხების საძაგეოროთ საქართველოს ეკლესიას არავითარი სასყიდელი არ მიუღია. ამას გარდა, რამოდენიმე წლის უკან სინოდის კანტორაში თბილისში აღმოჩნდა გაფლანგული ორასი ათას მანეთზე მეტი, ხოლო გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ასეთივე გაფლანგული ფული არა ნაკლები ას ორმოცდა ათი ათასი მანეთისა. ასეთი ძარცვა არ ახსოვს საქართველოს ეკლესიას მთელი თავის ავტოკეფალობის ხანის განმავლობაში.

დაბოლოს, სწორეთ ახლა გამოაცხადეს საჯაროთ გაყიდვა საქართველოს სასულიერო სემინარიის შენობისა თბილისში და ეზადებიან ქართველების სასაფლაოს გაყიდვას თბილისშივე. სახაზინოთ შერაცხილ საეკლესიო მიწების ნაცვლათ წასული საუკუნის მეოცე წლებიდან საქართველოს სამღვდლოებას ექ-

ლეოდა 75 ათასი მანეთი წლიურათ, უწ. სინოდის ამ წლის სმეტით კი უნდა მიეცეს 150 ათასი მანეთი, ე. ი. უნდა მიეცეს ერთი ორათ. მაგრამ 90 წლის განმავლობაში საეკლესიო აღვლებების შემოსავალმა და ფასმა თფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მხოლოდ ერთი ორათ იმატა და არა ერთი ათათ? სად მიდის დანარჩენი შემოსავალი საქართველოს საეკლესიო მამულებისა? ჯერ კიდევ 1819 წ. ექსარხოსი თეოფილაქტე თავის მოხსენებაში უწ. სინოდისადმი ყოველ წლიურ შემოსავალს მხოლოდ საეკლესიო მამულების ერთი ნაწილიდგან თბილისის გუბერნიაში 40 ათას მანეთს ანგარიშობდა. რამდენი უნდა შემოჰქონდეს ეხლა ამ მამულს? კეთილ-სინდისიერი და მიუდგომელი რევიზია (რა თქმა უნდა არა სინოდის ჩინოვნიკებისა) საქართველოს ეკლესიის სამეურნეო გამგეობისა ექსარხოსების დროს შემადრწუნებელ ამბებს გამოაშკარავებდა! ერთი სიტყვით, რადგან აღმოჩნდა რომ საქართველოს ექსარხოსების დანიშნულება (მისისა) ასი წლის განმავლობაში (სრულიად საქმარისი დროა გამოცდილების შესაძენათ) არც ერთი მხრით ხელსაყრელი არ შეიქნა: არც მეურნეობის, არც სარწმუნეობის, არც პოლიტიკურის, არც გამართლებელი მხრით, — მაშ რაღა ანგარიშია სახელმწიფოსა, ხალხისა ანუ ეკლესიისათვის შეინახონ ეს მართვა-გამგეობის ინსტიტუტი, რომელიც ამასთან ძლიერ ძვირათაც ჯდება?

სახარების სიტყვითაც ხომ სჭირან და ცეცხლზე იდებენ ხეს, რომელიც ნაყოფს არ იძლევა... მართალია, ბევრმა მებრძოლ სამღვდელთაგანმა, როგორც მ. ვოსტორგოვია, საექსარხოსოში სამსახურის მეოხებით გზა გაიკვლიეს დაწინაურებისა და ამბლებისადმი. 15 ექსარხოსიდან სწორეთ არა ნაკლებ ნახევრისამ მიიღო მიტროპოლიტობა და კათედრები სიტახტო ქალიქებში, მაგრამ საკათალიკოზო ივერიის ეკლესიის უწ. სინოდის საქსარხოსოთ გარდაქმნამ დიდათ დააზიანა რუსეთის ეკლესიის ავტორიტეტი სამართმადიდებლო აღმოსავლეთის თვალში (ბერძენებისა და სლოვენებისა). ასე რომ ცნობილი მსწავ-

ლული კანონისტი დაღმატიის არქივისკოპოსი ნიკოდიმოს მილაში, რომელსაც ეხლა ბოსნია-გერცოგოვინის პატრიარქად ასახელებენ, თავის შესანიშნავ თხუზულებაში „Православное Церковное право“ (რომლის თარგმანი რუსულზედაც იმეკონება), შემდეგ ალექსანდრიის, ანტიოხიის, იერუსალიმის, კონსტანტინეპოლის, კვიპრის, ახალ-იუსტინეს და ივერიის ეკლესიების დასახელებისა, ამბობს, რომ ეს ორი უკანასკნელი ეკლესია განადგურდა და ფაქტიურათ მოისპო: პირველი — ველურ ავართაგან მეშვიდე საუკუნეში, ხოლო უკანასკნელს ეწია იგივე ბედი უფრო გვიან (1811).

3. სანამ საქართველოს ეკლესიის საქმეების გამგებელი ექსარხოსი იქნება (სულ ერთია, ვინც იქნება იგი ქართველი, რუსი, თუ ბერძენი), გამოგზავნილი და აღკურვილი ინსტრუქციებ-თ რუსის ეკლესიის სინოდისაგან, — რაც აკრძალულია კანონებით, — მანამდის საქართველოს ექსარხოსს არ შეუძლია დაიცვას სამართლიანი დამოკიდებულება ამ ეკლესიის ყველა შვილებთან. განურჩევლათ ეროვნებისა“. აი რამოდენიმე მაგალითიც: ბოღბის მონასტერი წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელის სასაფლაოთი არ იმყოფება საქართველოს სამღვდლოების უფლებაში, სულ ერთია, კიევის წმ. ვლადიმერის საკრებულო ტაძარი რომ ბერძენებმა ან ქართველებმა დაიქირონ, რადგან ისინიც ხომ მართლმად-დებლები არიან, როგორც რუსები; შემდეგ, სიონის საკრებულო ტაძარი თბილისში მ. ვოსტორგოვის პროექტით, რომელიც მან კრების წინასწარ კომისიაში წარადგინა, უნდა ჩამოერთვას ქართველ სამღვდლოებსა და გადაეცეს რუსისას. ცოტა ჯავრი და მწუხარება არ მიუყენებია განსვენებულ ექსარხოსის ნიკონისათვის ამ დაუჯერებელ ამბავს, რომელსაც გულმოდგინეთ აკრცელებდენ ზეპირათ, თუ წერილობით ადგლობრივ მკვიდრთა შორის მ. ვოსტორგოვის დამქაშები. მ. ვოსტორგოვს აინუნშიაც არ მოსვლია, თუ სიონის საკრებულო ტაძარი საქართველოს უძველესი სიწმიდეა, რომ მისი საძარ-

კველი გაიფსკვნა ქალაქ თფილისის საძირ-  
 კველთან ერთად მეხუთე საუკუნეში. ამ დროს  
 უკვე ქართველები სხვა ეკლესიების წარმომად-  
 გენელებთან ერთად მსოფლიო და ადგილობ-  
 რივ კრებებზე იღვწოდენ მართლმადიდებელ  
 დოღმატიკის, კანონიკურ უფლებების და საე-  
 კლესიო წყობილების შესამუშავებლათ, რო-  
 მელთა ძალით მ. ვოსტორგოვს არც თავის  
 „მღვდლობის“ ღირსებით, არც განათლების  
 ცენზით, როგორც „სემინარიელს“, არ შეფე-  
 რის განაგებდეს საპატრიარქო ეკლესიების და  
 ოლქების ბედ-იღბალს. შემდეგ, სამართლმა-  
 დიდებლო სემენარია თფილისში და სასულიერო  
 სასწავლებლები მთელ მხარეში, რომელ-  
 ბიც ამზადებენ სამღვდლოებას ადგილობ-  
 რივ მკვიდრთათვის, არაფრით არ განირჩევიან  
 დანაჩენ რუსის სემინარიებისა და სასუ-  
 ლიერო სასწავლებლისაგან, რადგან ყველა  
 საგნებს, რაც დადებულია პროგრამათ საექ-  
 სარხოსოს სასულიერო სამოსწავლო დაწესე-  
 ბულებაში, ასწავლიან რუსულათ. იმის თქმა,  
 რომ შამშობლო ენა მოწაფეებს უმისოთაც  
 ესმისთო.—სულ ერთია, რომ რუსის სკოლებ-  
 ში შემოღებულ იქნას სწავლნბა საგნებისა  
 ბერძნულ ენაზე, რადგან რუსული დედაენა  
 უკვე ცნობილია მოწაფეთათვის. ასეთ სოფიზ-  
 მებზე ბევრი რამაა დამყარებული საექსარხო-  
 სოში. როცა თბილისის სემინარიის შეგირ-  
 დები ინახულა, ექსარხოსმა ინოკენტიმ დაა-  
 რიგა, რომ „მოემზადონ ღვთის სიტყვის საქე-  
 დაგებლათ ძველი ივერიის სამეფოს მხარეებ-  
 ში“—მაგრამ როგორ უნდა იქადაგონ სიტყვა  
 ღვთისა, როდესაც ბევრი მათგანი ვერ კით-  
 ხულობს საეკლესიო წერილსაც კი (ხუცუტს),  
 ისე როგორც რუსში მღვდელმა ვერ გაარ-  
 ჩუოს საეკლესიო სლოვენური წერილი!

მართალია, რომ მ. ვოსტორგოვი იღვწო-  
 და მისიონერის სახელით 11 წელიწადი და  
 11 სიტყვაც არ ცოდნია ადგილობრივ ენები-  
 დან; მაგრამ მაგიერათ მან გამოიტანა მწარე  
 დარწმუნება, რომ მსმენელებმა ვერ შესძლეს  
 დაფასება ამ ხლათ მოვლენილ ოქროპირის  
 მჭევრმეტყველებსა...

ბოლოს, კრების წინასწარ კომისიაში,  
 როგორც სჩანს პროტოკოლებიდან, გამოირ-  
 კვა, რომ, მაგალითად, მცხეთის საპატრიარ-  
 ქო ტაძარში, რომელიც აგებულია 12 მოცი-  
 ქულის და ცხოველმყოფელის სვეტის სახე-  
 ლობაზე, საყდრის დღესასწაულზე 1 ოქტომ-  
 ბერს ექსარხოსმა შეასრულა მსახურება ყო-  
 ლად წმიდა ღვთის მშობლის მფარველობის  
 ხატის წინ, რომლის გულისთვის წინაწინვე  
 აადებინა ადგილობრივი ხატი, ე. ი. იღღე-  
 სასწაულა ნამღვილი რუსის დღესასწაული,  
 შემოდებული მეფე ივანე მრასხანისაგან კაზან-  
 ნის დაპყრობის სახსოვრათ, რომელი დღესას-  
 წაულიც არ იცის არც საქართველოს და არც  
 საბერძნეთის ეკლესიამ. სხვაფრივ ვერც მოიქ-  
 ცოდენ ექსარხოსები, ძალიანაც რომ მოენ-  
 დომებიით; რადგან მათ არ იციან ქართული  
 ენა, ვერც შეასრულებენ ისეთ მსახურებას,  
 რომელიც მოიპოება მხოლოდ ქართულ ენაზე,  
 შემოდებულია უძველეს დროიდან და დაკა-  
 ნონებულია მეთორმეტე საუკუნეში. აი რა-  
 მოდენიმე მაგალითი მისი, რომ, სანამ საეკლე-  
 სიო მართვა-გამგეობა საქართველოში სინოდის  
 გამოგზავნილ და მისგან ბოძებულ ინსტრუქ-  
 ციებით აღჭურვილ ექსარხოსის ხელში იქნება,  
 „სამართლიანი მოპყრობა ივერიის ეკლესიის  
 ყველა შვილთა განურჩევლათ ხალხოსნობისა“  
 არ მოხერხდება. ასეთი მდგომარეობის შეცვლა  
 კი არ არის დამოკიდებული ექსარხოსის პი-  
 რად თვისებაზე.

4) არაფრათ ჩამგდები (пренебрежитель-  
 ный) პასუხი ექსარხოსისა „ივერიის ეკლე-  
 სიის რაღაც უფლებების შესახებ“ სრულებით  
 ეწინააღმდეგება ამ ეკლესიის ქეშმარიტ მოცი-  
 ქულებრივ წარსულის იმ კეთილკრძალულებით  
 მოპყრობას, რომელზედაც თვით ექსარხოსმა  
 ინოკენტიმ არა ერთხელ აუწყა მსმენელებს.  
 ეს უფლებები საზოგადოთ ცნობილია და აგერ  
 რამდენიმე წელიწადია უმაღლესი ბრძანებისა-  
 მებრ მათზე მსჯელობენ, მათ ირკვევენ. ასეთი  
 შეუუთომელი ავტორიტეტებიც კი, როგო-  
 რიც არიან მ. ვოსტორგოვი და „Церк.  
 Вѣд.“-ის რედაქტორი ოსტროუშოვი არ  
 უარყოფენ საქართველოს ეკლესიის ავტოკე-

ფალურ უფლებებს: მხოლოდ პირველი მთავარი მ. ვოსტორგოვი, აღნიშნავს პრაქტიკულ უხერხულობას, როგორც შესაძლებელია შეგვხვდეს მათ (უფლებების) განხორციელების დროს, და საქართველოს სამღვდელთა მოუმზადებლობას ასეთ დიდ რეფორმის მისაღებათ, ვითომ ქართველები ზულუსები ან პაპუსები იყვნენ, რომელთა შორის ეგროპიელი მისიონერები პირველათ სთესავდნენ ქრისტიანობის და კულტურის ანაბანას, და არა კულტურულ-ისტორიული ხალხი, რომელმაც მშვიდობიანათ გააცურვა თავის ეკლესიური ხომალდი არაბების, მონგოლების, სპარსელების ოსმალების და სხვა ბევრის მძევარებით მღვდლთა ტალღებთა შორის. ძალიან ცუდი აზრის ყოფილა მ. ვოსტორგოვი რუსულ სასულიერო სასწავლებლებზე, სადაც ქართველი სამღვდელთა ღებულობს თავის განათლებას! მეორე ოპონენტი, ბ. ოსტროუმოვი კი აცხადებს, რომ „ბრძანებითი (sic) საქროცება არ არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის“, ვითომ იგი არა თუ ხარკოვში და პეტერბურგში, არამედ თბილისში და ქუთაისში იჯდა მთელი წელიწადები და აღვილობ ეცნობოდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, საქროცებას და მოთხოვნილებას მისი სამწყსოისას.

ერთი სიტყვით, ახალი ექსარხოსი ისეთს ვერაფერს მოიმოქმედებს ხალხში სარწმუნოების განსამტკიცებლათ და საეკლესიო მართვა-გამგეობის მეხანიზმის გასასწორებლათ საექსარხოსოში, რაც მის წინამოადგილეებს არ გამოეცადოს 100 წლის განმავლობაში. როცა მთელი შენობა „ქვიშაზე“ სდგას, არ ეზარა არშიებს შეკეთება და სახურავის შელამაზება. საძირკველი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა 1811 წელში ჩაყრილი ან გადაკეთებულია ყოველი მხრივ უკანონოთ და არა მყარათ, ამიტომაც მთელს საეკლესიო შენობა გადიხარა და მუათ არის დაიქცეს...

ჩვენ დავსრულებთ ამ წერ-ღის მიჯვე, რითაც დავიწყეთ: ზემოხსენებულ შეხედულებათა მსგავს შეხედულების კარნახობა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის უფ-

ლებობაზე შემუძლია მხოლოდ „სულსა მთავრობის მოყვარეობისასა“, რისგანაც ჯერ კიდევ მსოფლიო კრებები აფრთხილებდნენ მთავართა ეკლესიისათა. ასე, მაგ., როცა ანტოქიის პატრიარქმა, მიმძლავრების უფლებით, მოინდომა დაემორჩილებია თავის ხელმწიფების ქვეშე კვიპრის ეკლესია, მესამე მსოფლიო კრებამ იცნო მისი ასეთი მიჩემება ეკლესიის კანონებისა და ჩვეულებათა წინააღმდეგათ და სახელმძღვანელოთ მომავალ თაობისა ასეთი (განკარგულება) დადგენილება მოახთინა: „დიდსა და უწმიდეს კრებას სურს, რომ ყველა ეპარქიამ შეინახოს (შეინარჩუნოს) წმიდათ და შეუზღუდავთ ის უფლებები, რომლებიც მას პირველითგანვე ქონია ძველი ჩვეულებისამებრ... რომ არავინ ღვთისმოყვარე ეპისკოპოსთაგანმა არ განავრცელოს თვისი ხელმწიფება სხვა ეპარქიაზე, რომელიც თავიდანვე არ ყოფილა მისი ან მის წინამოადგილის ხელქვეითი; ხოლო თუ ვინმე ძალდატანებით რომელიმე ეპარქია დაიხელქვეითა, უკანვე დაუბრუნოს იგი, რომ არ დაირღვეს მამათა კანონები და არ შემოიპროს, მღვდელ მსახურების სახით, ზვაობა საერო ხელმწიფებისა“.



ბიჭვინტის ღვთისმშობლის სადაო ხატი.

ვის ეკუთვნის ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დაცულია დღეს გელათის წმ. მომ. გიორგის ეკლესიაში? ეს ხაკათხი დღეს დღის საკითხათაა გადაქცეული, რადგან, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, იმერეთის ეპისკოპოსს უკახათ ებრძანა ხსენებული ხატი გადასდეს ბიჭვინტის ეკლესიას აფხაზეთში, როგორც მისი საკუთრება. როგორც თვით სახელიც მოწმობს, ეს ხატი თავდაპირველათ ბიჭვინტის ტაძარში სვენებულა. აქ იგი შეუმკვია, როგორც სჩანს მისი ორი წარწერასგან, ქათალიკოსს ეგდამენოს ჩხეტიქეს 1568 წ. და მეტრეხიის მეფეს ლეონ დადიანს და მას შეუდღეს დოფაქს თამარს (1661-1680)<sup>1)</sup>. სანამ ბიჭვინტის ტაძარი საკათალიკოსო კათედრას წარმოად-

<sup>1)</sup> იხ. Опись памят. древности Кондакова ст. 35.



გენდა. ეს ხატიც იქ ესვენა და ქათალიკოსე-  
ბაც აქედან განსაკუთრებულ თაფის საკმაოდ ვრცელ სა-  
კათალიკოსოს, რომელშიც შედიოდა მთელი და-  
სავლეთ საქართველო: ეხლანდელი იმერეთი, შვე-  
რეთი, გურია, სვანეთი და აფხაზეთი. შენიღბე-  
ტე საუკუნის დამლევიდან, როგორც მოწმობს  
ფრანგი მოგზაური შარდენი<sup>2)</sup>, ბიჭვინტა ჰქარტავს  
თავის მნიშვნელობას. კათალიკოსები სხვადასხვა  
მიზნებისა გამო სტოვებენ აფხაზეთს და გადმო-  
დიან სანჯორებლათ იმერეთში, სხელდობრ გე-  
ლათში, რომელიც მაშინ წარმოადგენდა განსაკუთ-  
რებულ სავაჭროსა და კათედრას. ეჭვი არ არის  
უფლებივე ძვირფასი განხილვას ბიჭვინტის საკა-  
თალიკოსო ტაძრისას კათალიკოსები გელათში გად-  
მოიციანდენ, რაზედაც მათ სრული უფლება უნდა  
ქონებოდათ, როგორც მთელი ეკლესიის მმართვე-  
ლებს. უეჭველად ამ დროს არის გამდგომი უფლები  
ხსენებულ ბიჭვინტის დეთისმშობლის ხატი და  
სხვა მრავალი საკათალიკოსო სამკაული, რომელიც  
დღეს დაცულია გელათის მონასტერში<sup>3)</sup>. რომელშიც  
კათალიკოსმა მოახდინა ასეთი განკარგულება, სა-  
ხელდობრ არ ვიცით, მაგრამ ეს არც საჭიროა  
საქმისთვის, რადგან ამკარა, რომ ძალით, კათა-  
ლიკოსების ნებადურთვლათ და მათი სურვილის  
წინააღმდეგ არავის შეეძლო ხსენებულ ხატი ად-  
გილიდან დაეძრა, მოეტაცებია, ან მოეპარა; და  
თუ ხატი მათი განკარგულებითა და ნებართვით  
არის მოსვენებული, მაშ რა გელათს ეკუთვნის  
და არავის უფლება არა აქვს კათალიკოსების გან-  
კარგულება დაარღვიოს, მით უფრო, რომ მას  
აქეთ ორი საუკუნე გავიდა დარწმუნებული ვართ  
რომ, თუ სადაც ხატი „ბიჭვინტის“ სახელი არ  
შერჩენიდა, აფხაზეთში, რომლებიც განჩინებამც,  
როგორც გვითხრობ, გამოიწვია ექსარხოსის განკარ-  
გულება, ვერც კი გაიგებდნენ სად ასვენია მათი  
სრული ხატი. მაგრამ სახელწოდებაც არ აძლევს  
მათ უფლებას ხატი დაისაგუთროს. ბიჭვინტა და  
მისი ტაძარი იმერეთის საშეფოს საკუთრებას შეად-  
გენდა და შეეფოს და კათალიკოსებს სრული უფლება  
ქონდათ თავის განკარგულებით ბიჭვინტის ტაძრის  
ქონება გელათის ტაძრისთვის გადაეცათ, მით  
უფრო, რომ ამ დროს აფხაზეთში თათრებმა დაი-  
წყეს მძლავრობა. თუ გასულ საუკუნეში რუსის  
მთავრობამ საქართველოს ეკლესიის უმეობა ჩამოარ-

თვა და თვითონ მიითვისა, განა შენიღბეტე საუ-  
კუნის იმერეთის მთავრობას უფლება არ ქონდა  
ერთი ტაძრის სიმდიდრე მეორე ტაძრისთვის გა-  
დაეცა? განსაკუთრებით ლოდიკას, მეტი რომ არა ვსთქ-  
ვათ! ასეთივე აღიქმით ასტუხა ზავლე ექსარხოს-  
მა მეორე ბიჭვინტის დეთისმშობლის ხატის თა-  
ბაზე, რომელიც ასვენია (თუ ჩვეულებითა კასში?)  
ქუთაისის საკრებულო ტაძარში, მაგრამ შემდეგ  
შესაფერი ზასუნისა ვისგანაც ვერ იყო, საქმე გა-  
უუნდა და აღარავის ხმა აღარ ამოუღია. გეტყობა,  
საქმე ზევიდან იყო დაწვებული, თორემ შეგნებუ-  
ლათ მთხოვნილი ხალხი ასე მალე არ დაწვენარდ-  
ბოდა. საქმე უთუთ ექსარხოს ზავლეს თანხრობით  
დაწვებული იყო და მახვე გადაუღია უხმით.  
ეხლანდელი სადაც ხატი არაფრით შესანიშ-  
ნავი არ არის ხელფინების მხრით, გარდა არხეო-  
ლოგიურ სიძველისა და, როგორც ასეთი, სულ  
ერთი სადაც იქნება საქართველოში და არა საქარ-  
თველოს გარეთ. ნუ დავივიწყებთ, რომ ხატი შემ-  
კულია ქართველ კათალიკოსისა და სამეგრელოს  
მეფისგან, რომლებიც საქართველოს ეკუთვნის.  
ამბობენ უქაზის ერთი მოტივითაცა ის არის,  
რომ აფხაზეთი დიდ ზატისას სცემენ ამ ხატს და  
ამიტომ ქრისტიანობის განსამტკიცებლათ საჭიროა  
იგი ბიჭვინტის ესვენოს. ტყუილი მოსაზრებაა.  
ამ ორ საუკუნის განმავლობაში, რაც ეს ხატი  
გელათში ასვენია, ერთი აფხაზეთი არ მოსულა მის  
თაყვანის სცემლად. აფხაზეთს უფრო შესანიშნავი  
საწაულთ მოქმედი ხატი უსვენიათ სოფ. ილორში,  
რომლის თაყვანის სცემლათ ქართლ-კახეთიდანაც კი  
მოდიან, მაგრამ აფხაზეთში მანაც დაცემულია და  
თანდისთანაც ეცემა საწაულთებლათ მიუხედავათ ყოველი  
დღისა. სჩანს ბიჭვინტის დეთისმშობლის ხატი აქარ-  
ფერ შუაშია. აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემას სულ  
სხვა საჩხული უდევს და ეს საჩხული მთავრობის  
გამარჯვებელი პოლიტიკაა, რომელიც, სიტუაცე  
ვსთქვათ, შუაგულ საქართველოშიც ძირს უთხრის  
მართლმადიდებლობას და საზოგადოთ ქრისტიანო-  
ბას. გარუსებას გვიჩვენია აფხაზეთი დავრჩეთ და მას-  
მადის რეული შიფილოთო, ასე სჯიან აფხაზეთი და  
ბევრი სხვა ტომიც და კიდევ ასრულებენ. ასეთ  
საქციელს ხატს ნუ დავაბრალებთ და მით უფრო  
ბიჭვინტისას, რომლის არსებობა არც კი ახსოვ-  
ლათ აფხაზეთს, რომ ვინმეს უარ წაქეზილულება რა-  
ღაც არაწმინდა განძრავის გამო...

<sup>2)</sup> იხ. Записки о. любителей кавказской археологии ст. 122 кн. 1.  
<sup>3)</sup> ibid. стр. 51.

ხელი.



## ორიოდე სიტყვა მონაზონობის შემსახებ.

ორი მტერი ყავს საზოგადოთ მონაზონობას. ერთი ძირითადით უარყოფენ მას, როგორც მავნე და ბუნების საწინააღმდეგო მიმართულებას, — მეორე, თვით ზოგიერთი მონაზონებია, რომელთა მონაზონობის შეუფერებელ ცხოვრებით იგმობის სახელი მონაზონობისა ერთა შორის.

მონაზონობა ცხოვრების უარყოფაა, ამბობენ მისი უარყოფელნი, — მონაზონი საზოგადოება შორდება და როგორც ლაჩარი გარბის მუნ გამეფებულ ბორტებათა წინააღმდეგ ბრძოლისაგანა\*).

განვიხილოთ ეს ბრალდება. რისთვის შორდება მონაზონი საზოგადოებას? განა მისთვის, რომ იგი თავისას ეძიებს მხოლოდ და არა მოყვრისას? განა მისთვის, რომ არ უნდა საზოგადოებაში გამეფებულ უკუღმართობასთან ბრძოლა და ლაჩრულად გარბის მანდენდნ? — მწარე და დაუმსახურებელი ბრალდებაა მონაზონების მნათობთა წინააღმდეგ, მონაზონებრივი იდეალი ათანასწორებს მოყვრის სიყვარულს თავის სიყვარულთან. „რომელსა ნებაჲს ცნობად საზომსა ძმათ-მოყვარებისა მისისა, ამბობს დიდი მოძღვარი მონაზონთა იოანე კიბისაღმწერი, გულის ხმა ყოფიდან კეთილად და მაშინ სცნას, რაჲმს იხილოს გული თვისი ქეშმარიტად მგლოვარე ცთომასა ზედა ძმისასა და მხიარული წარმართებისა ზედა და კეთილსა ზედა“\*\*). აი მწვერვალი ძმათ-მოყვარებისა, და ამის შემდეგ განა შეიძლება დავაბრალოთ მონაზონობას თავმოყვარება უფროს მოყვრისა?

გაურბის თუ არა მონაზონი საზოგადოებასთან ერთად უკუღმართობასთან ბრძოლას? სრულებითაც არა. ყველასი ვალია იბრძოლოს საზოგადო უკუღმართობის წინააღმდეგ. მაგრამ როგორ გინდათ იბრძოლოთ სხვის ბოროტებასთან, თუ ამ ბოროტებას თვის შორის ატარებთ, როგორ აპირებთ სხვის ასწავ-

ლოთ ის, რაც თვითონ არ იცით? სად დავიწყოთ თავდაპირველათ ბრძოლა ბოროტებასთან? ყოველ ადამიანის ბუნებაში ღრმად ჩანერგულია ბოროტება. ყოველი ჩვენგანი ერთი შტოთაგანია საზოგადო უკუღმართობის მდინარისა. ვისაც სურს ამ მდინარის ამოშრობა, ყოველის უწინ მოვალეა ამოშროს ის შტო, რომელსაც იგი თვითონ ადენს ამ მდინარეში. ამნაირად ბრძოლა თავის თავთან, თავის ბოროტ ჩვეულებებთან — თავდაპირველი მოვალეობაა კაცისა. მონაზონობაც ამისკენ მიისწრაფვის. განა ეს ლაჩრობა არის და ბრძოლიდან გაქცევა? სცადეთ ერთი პატარა რამე ჩვეულობის მოსპობა და პასუხი მაშინ მიზოძეთ.

თვის შორის ბოროტების აღმოფხვრით არ თავდება მონაზონის მიზანი. იგი მიისწრაფის შექმნას თვის შორის ზნეობრივი სისრულე. ზნეობის მუშაკი ადამიანი, თავდავიწყებამდის მოყვარე ძმისა, განა ეს უსარგებლო წვერია საზოგადოებისა და მისი მოღალატეა? უდაბნოში ცხოვრება არ ნიშნავს საზოგადოების დავიწყებას. სოფელ ქალაქისაგან დაშორებულ უდაბნოს მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი შესაფერი და ხელშემწყობი ალაგია სამონაზონო შრომისთვის, ისე, როგორც სამეცნიერო მუშაობისთვის, მყუდრო ოთახი. მაგრამ ზნეობრივი პიროვნება მას შეუძლია დააფასოს, ვისაც ესმის და აფასებს ზნეობრივ სისრულეს. მოიგონეთ თუნდ ეხლახან თბილისში მომხდარი ლიტერატურული გასამართლება ილიას „განდგეილისა“. სხვათა შორის შემდეგს ბრალსა სდებდა განდგეილს ერთი ნაწილი მოსამართლეთა: „უდაბნოში მშვენიერ ასულის ნახვის დროს გულში ჩაიკლა ბოროტი ზრახვანი და ლაჩრულად განუტევა სული“). გესმის მკითხველო? განდგეილს ბრალსა სდებენ, რატომ როსკიპი არ იყავიო! ამავე დროს იგივე ბრალმდებელნი აბრალდებენ განდგეილს საზოგადოების უკუღმართობასთან ბრძოლიდან გაქცევას! აი ასეთი ზნეობის მასწავლებელნი იაშენებენ საზოგადოებას!

\* სახალხო გაზეთი 1910 წ. № 81.

\*\* კლემეჯი 4, 66.

1) სახალხო გაზეთი 1910 წ. № 81.

სხვაფრივ სჯიან საქმის მცოდნე და ქეშ-მარიტების მოყვარული პირები: „თუ საზოგადოება საქირთა გაიმსკვალოს სარწმუნოებით, ამბობს პროფესორი ოქსფორდის უნივერსიტეტისა ბაგვა, მაშ უნდა იყოს საცავი ამ სარწმუნოებისა, მზგავსად ღიდ-აუზებისა სერებზე, საიდანაც მიღებით წყალი ჩამოუღის თითოეულს სახლს ჩვენს ქალაქში. ჩვენ გვჭირია განსაკუთრებითი კრებული ღეთის სტუდენტთა, მამათა და ღედათა, რომელთათვის შექმნა უმწვერვალესად წმიდა და სრულ სულიერ ცხოვრებისა უპირველესი და უღირესი საგანია“<sup>1)</sup>. შესანიშნავი პროფესორი გარნაკი ნანობს, რომ რეფორმაციამ მოსპო მონაზონობა და ამბობს: „ყოველ საზოგადოებას ესაჭიროება ისეთი პირები, რომელნიც ცხოვრობენ განსაკუთრებით საზოგადოების მიზნისთვის; აგრეთვე ეკლესიასაც ესაჭიროება ისეთი თავისუფალ ნებით გამოსული პირები, რომლებიც სტოვებენ ყველა სხვა მოწოდებას, უარყოფენ ქვეყანას და თავს სწირავენ სრულებით მოყვასთა სამსახურს. მართლ მაღიდებელ-მოღვაწეებში (ასკეტებში) ეკლესია განიცდის ისეთ ნაზ და ძლიერ სარწმუნოებრივ გრძნობის, გამოჩინებას, ეგზომ ივსება ღეთაებრივით, ისე მიისწრაფვის საქმით შინაგან განახლებისკენ ქრისტეს სახისაებრ, რომ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ: აქ ცოცხლობს სარწმუნოება, აქ არის იგი ღირსი ქრისტეს სახელისა“<sup>2)</sup>.

პროფესორი მ. სვეტლოვი ამბობს: „ქეშ-მარიტი ასკეტიზმი იბადება მისწრაფებისგან ცოდვაზე გამარჯვებულისადმი ბრძოლითა თაემოყვარებასთან, ვნებებთან, ხორციან, რავდნათ რა არის სადგური ცოდვისა, ასკეტიზმი არ არის გაქცევა ქვეყნიდან, ან განშორება მისგან, როგორც რამე ბიწიერისა თვის თავად, არამედ მხოლოდ განშორებაა ცოდვისგან თავის განსაზღვრის და თავის უარყოფის გზით. არ შეგვიძლია შეიყვარო მოყვასი, თუ არ გისწავლია მოძულება, სადაც

ჯერ არს, თავისა; მხოლოდ ამას ასწავლის და ამისკენ მიისწრაფვის ქეშმარიტი ასკეტიზმი, ქეშმარიტა მონაზონება, სოფლისგან განშორებულნი კედლებით ქეშმარიტი მონაზონნი სოფლის მცხოვრებთ ყოველთვის მიაჩნდათ და მიაჩნიათ მაღალ სულიერ ცხოვრებით შემოსილ და ქვეყანასთან გულით შეერთებულ ძმებად. ლოცვით, დანუგეშებით, დარიგებით, მოწყალებით, განათლებით და სხვ. მონაზონობას შეუძლია ღიდი სამსახური გაუწიოს ქვეყანას უღაბნოდანვე“<sup>3)</sup>. პროფესორი მუსეი ამბობს: „ჩვენს დროში, როცა ასე ძლიერი წინააღმდეგობა არსებობს ქრისტესა და ქვეყნის შუა, საქირთა მონაზონთა კრებული არა მარტო საქადაგებლად, არამედ აგრეთვე გამოსაჩენათ მაღალ მოღვაწეებათა. და ეს ჩუმი, მაგრამ გავლენიანი ქადაგება მოღვაწეება წარმოებს არა ქვეყნის დასათრგუნავად, არა სინათლის დასამცირებლად, არამედ მის განსაწესრიგებლად და განსანათლებლად... მონაზონობა—ეს გვირგვინია ქრისტიანული საზოგადოებისა: მის არსებობას თანამედროვე ცხოვრებაში თხოულობს თვით ამ ცხოვრების კულტურული იდეალი“<sup>4)</sup> ასე აფასებენ მონაზონობას სწავლულები, აფასებს და სასოებს მას ხალხიც და კიდევაც ასობით და ათასობით დაიარება იგი მონასტერ-უღაბნობებში, რომ აქ, სულის წყნარ ნავთსაყუდელში, განაცხოველოს, მქუხარე-სოფლად მომყმარი სული.

აქ მე გადავავლე თვალი მონაზონობას, როგორც მიმაროულებას, მოძღვრებას. სამწუხაროდ ჩვენს მონასტრებში ღდეს არ ჰყვავის ეს ცხოვრების განმაცხოველებელი მიმართულება. სად არის მონაზონება? გაიძახიან ზნეობის გმირთა ნახვის მწყურვალე აღამიანები. გულდასაწყვეტად სდუმან მონაზონობის მნათობთა ღდეს ცალიერი საგანენი. ვისაც სწყურია ცხოვრების განახლება, ნატრობს

<sup>1)</sup> Богосл. вѣст. за 1903 г. апрѣл. Идея царствія Божія въ ея значеніи для христіан. міросозерцанія. Проф. П. Я. Свѣтлова.

<sup>2)</sup> Христіан. чтеніе за 1900 г. августъ—Сентябр.

<sup>3)</sup> Странникъ за 1909 г. январь. Возстановленіе иночества въ англійской церкви.

<sup>4)</sup> Сущность Христіанства стр. 66,79.

და ზრუნავს ჩვენი მონასტრების კვლავ აყვავებისათვის.

„შინაური საქმეების“ ფურცლებზე უკვე რაოდენიმე წერილი დაიბეჭდა ამის შესახებ, ამ წერილებში ნაკლიც არის ნაჩვენები და საშვალებანიც მონასტერთა წინსვლის გზაზე დაყენებისა.

ლაპარაკითა, წერით და ლანძღვით მართო საქმე არ გაკეთდება, საქიროა ნათქვამის ცხოვრებაში გატარება, ხოლო რომ ნათლად განხილულ იქნას საკითხი და შემუშავდეს შესაფერი წესრიგი, აუცილებელია ჩვენს ეკლესიის მწვემსთ-მთავართა და მონასტრების წარმომადგენელთა კრება.

ონოფრე მწიბი.



### მარტვილის მონასტერი.

თუ რამდენათ შესანიშნავია ეს მონასტერი თავისი ადგილ-მდებარეობით ამაზე ლაპარაკი მეტად მიმიჩნია, რადგან ეს ეხლა ყველასათვის ცნობილია. მე მსურს მკითხველებს ვაცნობო ის, თუ რანაირ მდგომარეობაში იყო ეს მონასტერი და ნივთები აქამდის და რას წარმოადგენენ ისანი ეხლა. ჩემს მახსოვრობის დროიდან ამ მონასტერს გამოუცვლია რამოდენიმე მღვდელმთავრები, მაგრამ არც ერთს მათგანს თავშიდაც არ მოსვლია ტფიქრათ რაიმე მის გაუმჯობესობისათვის. პირ იქით ყველა ისინი ამ მონასტერს თვლიდნენ გემრიელ ცხერის ღუმად და თლიდნენ, ვისაც როგორ უნდოდა, თუმცაღა ეს მონასტერი ყოვლად სამღვდელი გრიგოლ ეფისკოპოსის დროს გადახურული იყო თლალ ძვირფას სპილენძის სახურავით, მაგრამ ცნობილმა ბერმონაზონმა სოფრომმა, სპილენძი გადაგლიჯა და ესტით დახურა და თუ კი ამაზედ რაიმე სთქვეს მარტვილლებმა, ვისაც ამ მონასტერზე გული შესტკიოდა, გრიგოლ ეფისკოპოსმა ყველა ისინი მონათლა კლიაოზნიკების სახელით. ნივთები, ეს ჩვენი ღიდება, ეს ძვირფასი განძი მონასტრისა, სად როგორ ეყარნენ და ვის როგორ მიქონდა ძვირფასი თვალ-

მარგალიტები, ღმერთმა უწყის. მაგრამ საბედნიეროთ ღღეს სულ სხვას ვხედავთ. ღღეს ამ მონასტერს, ალბათ ანდრია მოციქულმა, რომელიც ქადაგებდა ამ მონასტერში, გამოუგზავნა მას პატრონი ყოვლად სამღვდელი ლეონიდი. ყოვლად სამღვდელი ლეონიდემ დანიშვნისათანავე ჩვენს ეპარქიაში ყურადღება მიაქცია ამ მონასტერს. მოიყვანა ცნობაში მამული მონასტრისა, ნახა რომ გუმბათი მონასტრისა უფარვისია, წარმოადგინეთ წვიმაც ჩამოდიოდა, მოაშორა ძველი დატეხილი სპილენძი და ახალი სპილენძით გადაახურვია. შეღესა-შეალამაზა გარეთ კედლები მონასტრისა, და შეუღვა ნივთების მოწესრიგებას. ნახა რომ ნივთები მტვერში და იაშუიკებში ეყარენ, გააკეთებინა ძვირფასი შუშებიანი გძელი შკაფი და ყველა ძვირფასი ნივთები, სამღვდელმთავრო შესამოსლები, მოკედლი ზურმუხტ-მარგალიტებით შიდ მოათავსა, იმ ნაირათ რომ, ყველა მნახველს შეუძლია გარედანაც დაათვალიეროს ყველა ნივთები. იმედია აწი მაინც არ დაიკარგება ნივთები. სახურავი მონასტრისა დანგრეულ-დამტვრეული შეღება-შეაკეთა. წისქვილი მონასტრისა, რომლითაც, ვინ იცის, რამდენი კერძო პირი სარგებლობდა, ჩამოართვა ყველას გააკეთა სამუდამოთ და მიუჩინა მონასტრის ბერებს საქმელათ და კიდევ უსახსრობისა გამო ამით გათავდა შარშანდელი ყოვლად სამღვდელი ლეონიდის მარტვილის მონასტერში მოღვაწეობა. როდესაც ყოვლად სამღვდელი მოაწესრიგა გარეგნული მხარე მონასტრისა, მისი ყურადღება მიიპყრო შიგნით მხარემ მონასტრისა. კანკელი მონასტრისა იყო ტილოსი და სულ ძველთა ძველი, მგონია კიდევ დღიდან მონასტრის დაარსებისა. ყოვლად სამღვდელი სულ იმას ცდილობდა. როგორმე განეახლებინა კანკელი, მაგრამ საშვალემა კი არსად იყო. ამ საქმისთვის კიდევ გაგზავნა მან რუსეთში მღვდელი, მაგრამ მიტროპოლიტმა ვლადიმერმა არ მისცა ნება ფულის ბოქვისა და მოსკოვიდან დააბრუნა იგი, რადგან თქვენ ქართველები ავტოკეფალიას თხოულობთო. სასოწარკვეთილებაში იყო ყოვლად

სამღვდელო, რადგან მან მისი სურვილი ვერ განახორციელა. მაგრამ ამ დროს მარტვილის ღვთის მშობელმა უჩვენა მას წყარო საშვალე-ბისა. განსვენებულმა ბიძა მისმა ყოვლად სამღვდელო აღექსანდრემ გორდის სასახლის ეკლესიას შესწირა ათასი მანეთი იმ პირობით, რომ მუდმივ მის სარგებლით ანთებული ყოფილიყო ქრაქი ლანქერის ღვთის მშობლის ხატის წინ. მაგრამ ეს პირობა ყოვლად სამღვდელო აღექსანდრესი არ შეუხსრულეს, ხატი ზუგდიდში წაასვენეს და არამც თუ არ უნთებდნენ ქრაქს, არამედ როგორც მითხრეს, ის ხატი ეხლაც იაშიკში უნდა იყოს გამოკედლილი. ყოვლად სამღვდელო ლეონიძემა ეს ბიძა მისის ფულები მონასტრის საჭიროებისთვის უკან მოითხოვა და ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ კიდევ მიიღო. ყოვლად სამღვდელოს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, რომ მიეცა საშვალემა მისი სურვილი სისრულეში მოეყვანა. მისმა მეუფებამ მაშინვე შეუკვეთა ქუთაისში ცაგარეიშვილის სახელოსნოს ქუჩუბთმებიანი კანკელი. ეს კანკელი ამ დღეებში უკვე მოიტანა ბ. ცაგარეიშვილმა და კიდევ აღმართა იგი. კანკელი მშვენიერია და მეტად ლამაზი. კანკელის აღმართვაში თვით ყოვლად სამღვდელო მუშაობდა, როგორც უბრალო მუშა და მოუშორებლათ თავს ადგა, რომ ჩქარა მოესრულებინათ. მისი მეუფების სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როდესაც მის მიერ დაწყებული საქმე სისრულეში მოაყვანა და მით დიდებული მონასტერი გაამშვენიერა-გააღამაზა, მაგრამ მისი მეუფება ამას არ სჯერდება. მისი ყურადღება ეხლა იმაზეა მიქცეული, რომ კედლები გაანახლოს და მოახატოს. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ამას დიდი ხარჯი სჭირია, და ამ დროებით კი, როგორც ყოვლად სამღვდელოს, არც მონასტერს არავითარი საშვალეა არა აქვთ. მაგრამ მისი მეუფება დიდ იმედებს იძლევა თლ.თ მონასტრის განახლებისათვის და ღმერთმაც ქნას მისი იმედები გამართლებულიყოს. არ შემოიძლია ორიოდ სიტყვა არ ესთქვა ამა მონასტრის ყოფილ ეკონომოსებზედ. ეს მამაცხონებულნი მამანი მხოლოდ გარეგნობით იყვნენ ბერები,

ყველა ისინი ვინც კი აქ ეკონომოსად ყოფილან გარდა ქეიფ-დროს ტარების მეტისა, რასაკვირველია მონასტრის ხარჯზედ, არასფერს არ აკეთებდნენ. ერთი რამ სასარგებლო მონასტრისათვის მათ არ გაუკეთებიათ. მაგრამ საბედნიეროთ ყოვლად სამღვდელომ ამა მონასტრის ეკონომოსად გადმოიყვანა შიო-მღვიმის მონასტრიდან მ. შიო, რომელიც განუწყვეტლივ შრომა და მუშაობაშია. ვერ ნახავ მას უსაქმოდ და ტყვილად გაჩერებულს. მის ნაშრომს რომ კაცმა თვალი გადაავლოს, იტყვის, რომ აქ მუშა კაცის ხელი ყოფილაო. ერთი სიტყვით, თუ კი მ. შიო დარჩა ამ მონასტერში სამი ოთხი წელი მონასტერს სულ სხვა ფერი დაეღება და შემოსავალიც დიდით იმატებს. მისგნით მუშაობა აქაურებმა ბევრმა ისწავლეს, მხოლოდ სასურველია მუქთა-ხორა ბერებმაც წაბადონ. მ. შიოს კვლავ შრომას და მის შრომის დაჯილდოვებას უსურვებ, ხოლო ლეონიდ განმახლებელს მისცეს ღმერთმა საშვალემა და ძალა დავით აღმაშენებლისა.

მარტვილელი მღვდელი.



**იღუპება დიდებული ტაძარი და დროზე უფელა და ყურადღება სპირიტუალს, მისგანაც ჯერ არს!**

აბა ჭიათურიდან 4 ვერსის მანძილზე, მდვი-მის დედა მონასტრის თავზე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით გაშენებულია სოფ. მღვიმევი, სადაც 200 კომლი მცხოვრებია.

ამ რამდენიმე წლის წინეთ მღვიმევი ერთ საუკეთესო სოფლათ ითვლებოდა ზემო იმერეთში ჰურასა და დვინის მოსავლით, ტყით, საბაღახოებით, მშვენიერი ცივი ანკარა წყაროებით და ჩინებული ჭყერით, მაგრამ, როგორც სხვა შავი ქვიანი სოფლები დასცა და განადგურა შავი ქვის წარმოებამ, ესევე ბუდი ხვდა სოფელ მღვიმევსაც. ქვეშ, დედამწიწის შიგნი გულისაგან გამოაღატკეს და გამოშვიტეს მთელი შავი ქვის სიმდიდრე და დარჩა მხოლოდ ზემო ჰარი განრეკალი, გამოფიტული და გამოფუტული; ქვეშიდან ნადაგამოაღალმა

სახნავ სათესის მიწებში დაკარგეს თავისი მოსავლის ძალა, მიწებიერი წვარობები გაიზარეს და დაშრეს, ვენახები დახშეს, ტყეები და საბაღახო ადგილები შიდათ მოისპო, მცხარეებზე დაღობა და ვისაც კი ცოტადენი შეძლება შერხა, ერთხელ და სამუდამით მოატყვეს სამშობლო მღვიმეები, შეიძინეს გარეშე სოფლებში ადგილ-მამული და სხვა-გან დაწვეს ცხოვრება; ვინც ვერ შეიძლო სხვაგან წასვლა, თავისვე მიწათ გაუდგულ ანუ, უკეთ რომა ვთქვათ, დაკარგულ შავი ქვის მადნის ადგილებში დღიურათ მუშაობს და დიდი წვალებით და ქაზან-წყვეტით დღიურ ღუგმა ზურს შოულობს ცოლ-შვილის საზრდოთ.

1907 წლის მარტულ იანვარს სოფ. მღვიმე-ში დიდი უბედურება დატრიალდა: შავი ქვის წარმოების მიხედვით ამ სოფლის დასავლეთის ნაწილი ერთბაშად მოკვდა, ჩავარდა და რვა მოსახლე გლეხი გვარათ გათრინდაშვილები თავისი სახლებით, ეზოებით და ვენახები შიდათ ჩაიღუპეს; ხალხმა როგორც იყო გაასწრო შეუბრალებელ მეწვერს, მკრამ სულს და ხორცს გარდა ველანაფერი ვერ გადაარჩინეს; სახლ კარი, ჭურ მარანი და სხვა ნამშრალბა და უძრავ მძიკავი ქონება სულ სამტერე-ეხათ და ნაფორტებით ამხიკეს ჩანგრეულ ადგი-ლებიდან. იმ დღიდანვე საცოდავი გლეხები მო-შორდნენ მამაშაბის დატოვებულ არეზარეს, თავის ნაშრომ-ხაღაწე კერას და სხვაგან გადასახლდნენ შე-შინებულნი და თავზარ-დაცემულნი. 1881—1884 წლებში, როდესაც შავი ქვის წარმოება გაიხალხა და თანაც შავი ქვის მწარმოებლებმა თანდითანო-ბით ფეხი მოიდგეს მთელ ქაათურის საშრეწველო რაიონში, შეიქნა ერთი ბიხდა-მოხლა და შავი ქვის მადნის ადგილების უიდეა-შეიქნა; იმ დროს მღვი-მელები, როგორც შათი მეზობლი სოფლების მცხარეებნი, ძალიან შეეთეს და ათუთ, ღარის ფასათ გაუიღეს თავისი შავი ქვის აურაცხელი სიმ-დიდრე, მაგრამ მოუხდავით ამის მიხედვით კიდევ დიდძალი ფული აიღეს მღვიმელებმა; მხოლოდ, ჩვენდა საშრეწვართ და სამარცხვინოთ, როგორც შავი ქვის სიმდიდრე რიგანათ ვერ მოვიხმარეთ და ჩვენი უცოდინარობით და გაუგებლობით მთელი ჩვენი სიმდიდრე გულისკადავით მიუქათ ჩვეუარეთ ხელში მოხერხებულ საზღვარგარეთებს, ისე იმ გაუიღულ მადნებში აღებული ათასები და ათათა-

სი ბანკოები რიგანათ და ეკონომიურათ ვერ მო-ვიხმარეთ. ჩვენმა ხალხმა ანკარიში ვერ გაუწია აღებულ ფულს; დაწვეს უთავბოლოთ ხარკვა, მი-ვეს ხელი ქეიფსა და ღხინს და ერთი მანეთის ადგილზე თუმანს ხარკავდნენ. მღვიმელების სასხე-ლოთ და სახეგემოთ მხოლოდ ისდა ითქმის, რომ იმ ფულებს ახვეტის დროს ამთმა აკეს დაღ-შვენიერი ქვიტიკირის ტაძარი წმ. ქალწულ მწამის ბარბარეს სახელობაზე; ეკლესია დაამთავრეს 1884 წელში და კიდევ აკურთხეს; შემდეგ ამ ეკლესიას შემთარტეს მშვენიერი ქვიტიკირის კადავანი, და ეკლესია თავისი კადავნით დაუჯდათ თრმცი ათას მანეთამდე.

ი სწორეთ ამ ეკლესიით და კადავანით თავი მოქონდათ მღვიმელებს, ამუობდნენ თავისი ტაძრის და კადავანის სიმშვენიერით, რადგანაც ასეთი ეკლესია მთელ ზემო იმერეთში არ იყო. ხშირათ გამიგონია მღვიმელებიდან: „მართადა, შევეთით, აურებელი სიმდიდრე საზღვარგარეთებს ჩვეუარეთ ხელში, ბლლოს აღებული ფულებიც უთავბო-ლოთ შემთავრეს და ადგილ-მამულიც აგვიოხნა და დავქვეითდით ქონებრივთ, მაგრამ, ჩვენდა სა-ხეგემოთ, ეს ეკლესია და კადავანი მანც შეტყ-რის და დღეს თვალით მანც ვუშხერთ ამ სათამა-ეესო და სხვა... მაგრამ დახედეთ მათ უბედურებს: შავი ქვის წარმოებით და ფულების შოვით გატა-ცებულმა ვაჭრებმა ადარც ეკლესია დაზოგეს; შე-ეპარენ თვით ეკლესიას ქვეშ, გასტყეს მადარებო და ეკლესიის ქვეშიდანაც გამოიღეს შავი ქვის სიმ-დიდრე. შავი ქვის ვაჭრებს ძლიან კარგათ უნდა სცოდნოთ, რომ თუ კი უბრალე სამოსახლოები და ხის საბინაეო სახლები ვეღარ დაიკავა გამოშავ-ნულმა შავი ქვის მიწამ, მათ უშეტეს ვეუებრთელა ქვიტიკირის ტაძარს და მისს კადავანს რადა და-ამარდება! მაგრამ მათ თავისი ჭიბუკები დაიტიგეს და ეკლესიის ჯაერი არ ქონდათ — რის გამო წახუ-ლი 1909 წლის გაზაფხულზე დასავლეთას ცალი გვერდი ეკლესიის მშვენიერი ქვათკირის კადავ-ნის ერთბაშად დაინგრა; დახარჩენი გვერდებიც დახერეული და დახეთქილია და დღესა, თუ ხელ, აუციბებლათ ჩამოინგრევა; თვით ტაძრის კედლებიც შერეულია და შიგა და შიგ ეტყობა, რომ დაზარულია და ნაზარები თანდითან მატულობენ; ერთი სიტყვით, თუ დროზე ვერადდება არ მთაქ-

ციეს, ეკლესიაც დაინგრევა და სანუდამთ დაე-  
კარგვის მრევლს ერთად ერთი სულიერი სიმდი-  
რე, ერთად ერთი საუნჯე და სიამაყე, რომლის  
მსგავსსაც დღევანდელი დადარიბებული სამრევლო  
ვერსოდეს ვერ ააშენებს და ვერ შეიძენს; ასეთ  
შემთხვევაში ზარალთან ერთად იბადება და ფეხ  
ქვეშ ითვლება თავმოყვარეობა მართლმადიდებელი  
ხალხისა და იმავე დროს სიწმიდე სარწმუნოებისა,  
ურთმდისოდაც ხალხს ერთ დღესაც კი არ შეუძ-  
ლია ცხოვრება.

ბოლოს, რომ შეხედა მრევლმა, რომ ეკ-  
ლესიის და გაღვინის საქმე ცუდათ წავიდა, თავის  
შორის კომიტეტი აირჩია და დააყალბა, რომ  
ამ საქმისათვის მზრუნველობა გაეწიათ. მაგრამ  
საქმის წარმოებისთვისაც თუღია საჭირო და უფუ-  
ლოთ კი კომიტეტი შეჩერებულია და არაფერს  
მოქმედებს. მხოლოდ არ შეიძლება, რომ არ უსაყ-  
ვედურათ არჩეულ კომიტეტს, რომ წელს 26  
აპრილს ქ. ქუთაისში, შავი ქვის მრეწველთა კრე-  
ბაზე შეამდგომლობა ვერ აღძრა და ასეთი შემთ-  
ხვევით ვერ ისარგებლა, თორემ დარწმუნებული  
ვართ ჰატრიტული კრება კომიტეტის თხოვნას  
და შუამდგომლობას უუურადღებოთ არ დატოვებდა.  
წელს მაისის 30-ს რიცხვში შავი ქვის მრეწველთა  
საბჭომ ბატონი გიორგი ზდანოვიჩის თავმჯდომე-  
რებათ შემთხვევით ინახულა მღვიმის დაზარალე-  
ბული ეკლესიის და ხალხს ცოტადენი იმედიც მიე-  
ცა, რომ საბჭო თავის მხრით დახმარებას აღმოუ-  
ჩენს ამ დიდებულ ტაძრის აღდგენაში.

ესეა ვითხნით, რას შეუბოძენ მღვიმელები  
და თვით ეკლესიის წინამძღვარი მაშინ, როდესაც  
ამ ტაძარ ქვეშ მუშაობა გამართეს და შავი ქვის  
წარმოება დაიწყო? თითონ მოგეხსენებათ, თუ რა-  
გორ გულცივით ეზურობა ჩვენი ხალხი საზოგადო  
საქმეს, მღვიმელები იმ დროს ერთი შეხედვით შე-  
ჩერებოდნენ, კერძოთ ვერაფერს გაბედა და არაფერს  
აწეებია ეკლესიის ქვეშ მომუშავე მაწარმოებლებს,  
ანუ, უკეთ რომა ვსთქვათ, ეკლესიის დამქრევ ვაჟ-  
ბატონებს და საერთო ხმით და ძალით სულ ვერ  
გაბედეს მათი წინააღმდეგობა, რითაც ისარგებლეს  
ვაჭრებმა და ესეა კი მღვიმელები თითებს იგნე-  
ტენ, მაგრამ გვიანდა არის... რაც შეეხება ეკლე-  
სიის წინამძღვარს, დაუფარავათ უნდა მოგახსენოთ,  
რომ ამ ტაძრის წინამძღვარმა ვერაფერი წინამძ-

ღვრობა და მზრუნველობა ვერ გაუწია მისდამო  
რწმუნებულ სამრევლოს და ეკლესიას ოცა ვერს-  
ტის მანძილზე მღვიმიდან, სადაც მუერნებს თა-  
ვის ოჯახში და გენახებს და ბაღებს აკეთებს, სამ-  
რევლოსთვის კი მას არა სცდაია; შეიძლება ხან-  
დასხან შაბათ-კვირასზედ ჩამოვიდეს მრევლში, თა-  
რემ ისე სულ შინ ბრძნდება, სოფ. ჩიხაში.  
მღვიმელები უმდგლლოთ დიდ ვაჭარებაში არიან  
ჩავარდნილი, რისგანთ მღვ. მ. ლ. იაკობაშვილ-  
ზედ მუდამ საჩივარი და უკმაყოფილება არის ატე-  
ხილი და დიდი განხეთქილებაც არის მრევლსა და  
მოდღვარს შორის. ახა მიბრძანეთ, რა მამობას და  
მზრუნველობას გაუწევს მღვდელი თავის მრევლს  
და ეკლესიას ასეთ ზირობებში?... ძმურათ და  
გულახდილათ ვურჩევთ მ. ლ. იაკობაშვილს, იც-  
ხოვროს სამრევლოში და იზრუნოს მასზედ, რაც  
ზირობაშირ ატყვილებელ მოვალას შეაკობდგენს თი-  
თოველი ჩვენგანისთვის.

მღ. მესტრიონ ვაზაძე.



# სამეკლესიო ტოზიკონი.

გამოვიდა და იყიდება ქართული „საეკ-  
ლესიო ტიზიკონი“ შედგენილი მღვდლის  
რაქდენ ხუნდამის მიერ. ეს წიგნი მეორეთ  
გამოიცა ახლა. წინანდელმა გამოცემამ მეტის  
მეტე ყურადღება დაიმსახურა ეკლესიის მსა-  
ხურთა შორის, როგორც იმერეთის, აგრეთვე  
ქართლ-კახეთის ეპარქიაში. რადგან წინანდე-  
ლი გამოცემა დიდი ხანია აღარ მოიპოვებოდა  
სადმე, ამისთვის იმერეთის სამღვდლოე-  
ბის დეპუტატთა კრებამ დაავალა ავტორს  
ხელახლა გამოეცა, მით, რომ თითო ცალი  
შეიძინოს ყველა ეკლესიებმა. ყოვლად სამღ-  
ვდლო გიორგიმ ეს ეურნალი დამატკია და  
წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, ბლალოჩინებს  
წინადადება მისცა—წიგნები გამოიწერონ.  
ყოვლად სამღვდლო ლეონიდემაც დაავალა  
ცირკულიარით მის ეპარქიის ბლალოჩინებს,  
რომ შეიძინონ ეს წიგნი ყველა ეკლესიებმა.  
—წიგნი კარგ გასაგებ ენით არის დაწე-

რილი; წინანდელ გამოცემაზე მეტიც არის; წირვალოცვისათვის მრავალი და უსაქიროესი ტიბიკონით არის შევსებული.— იყიდება ავტორთან: Кутаисъ Духовн. училище. Священ. Р. Хундадзе.

### ბრძნული განკარგულება.

გურიაში მოგზაურობის დროს ყ-დ სამღვდლო ლეონიდს სხვათა შორის ზოგიერთ ეკლესიებში შეუნიშნავს მრავალი გვირგვინები მიცვალებულებსა, რომლებს შეხება აკრძალული აქვთ თურმე ადგილობრივ კრებულებს სამრევლოსაგან. დროთა განმავლობაში ძლიერ ბევრი გვირგვინი მოგროვილა, ასე რომ კედელზე ცალიერი ადგილიც აღარ მოიპოვება, ამის შესახებ ყ-დ სამღვდლოს ცირკულიარით მიუშართავს კრებულთათვის, რათა კვლავ აღარავის მისცეს ნება ეკლესიაში ასეთი გვირგვინების დადებისა და დაკიდებისა. რაც შეეხება მათ, რომელთაც ღღეს ადგილი უკვე უკავიათ ეკლესიაში, უნდა გამოეცხადოს ჰირსუფალთ უკანვე წაიღონ და თუ არ წაიღებენ უნდა გაიყიდოს და ფული ეკლესიის სასარგებლოთ შეირაცხოს.

არ შეგვიძლია არ აღვთხოვოთ, რომ ასეთი განკარგულება სწორეთ ბრძნულია და საჭიროც თანამედროვე ხალხის ცხოვრებაში. უბედურება კია, რომ ყოველი ყალბი და დასაგმობი ქებული ევროპული ცივილიზაციისა ასე ცეცხლივით სწრაფათ ეღება ჩვენ საზოგადოებას. ნეტა ასე მალე სხვა რამ სიკეთე შეეთვისებია ჩვენ ხალხს. მეტრე უნდა იცოდეთ რა კარიკატურულ შემთხვევას წარმოადგენს ეს ყბადღებული გვირგვინის ვინც უნდა მოკვდეს—ორი დღის ბავშვი, თუ ასი წლის ბებერი, რომელიც თავის სიცოცხლეში კერას არ გადასცილებია და ჰამის მეტი არაფერი გაუკეთებია.— ყველას ცხედარი გვირგვინით უნდა შეიმკოს. ესეც ხომ ზედმეტი და უმნიშვნელო ხარჯია საწყალი გლეხისთვის, რომელიც მოწინავე საზოგადოებამ მოახვია მას

თავზე. საჭიროა, რომ ამ უმნიშვნელო ჩვეულებას ბოლო მოეღოს, რაც ადვილი შესაძლებელია, თუ იგივე მოწინავე საზოგადოება ხელს აიღებს მასზე და სამღვდლოებაც არ დაიხარებს ყოველი შემთხვევის დროს თვალწინ დაუყენოს ჰირსუფალს მათი არარაობა და უმნიშვნელო მიცვალებულთათვის, რომელთაც ჩვენი მხრით მხოლოდ ლოცვა და კეთილი საქმე ეხმარება.

### მადლობის გამოცხადება.

ცილორის ეკლესიის კრებული უგულითადეს მადლობას უძღვნის კნენია ეკატერინა მიქელაძისას ფადავას ასულს და დაუარ აჯარსკისას მიქელაძის ასულს, რომელთა საშვალეებითაც შეიძინა ეკლესიამ შკაფი, სტოლი, სკამი და ანალოლია ღირებული სულ 30 მან.

### ი. ს. გ. ძმობა.

იშერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის საწევრო ფული გამოგვიზავნეს: არქიმანდრიტმა აქესენტამ 3 მან. მღვდელმა ი. ლუკიანოვმა 3 მან. და მღვდ. ბ. ვაშაძემ შემდეგი წერილით:

დიდათ პატივცემულო მამაო რედაქტორო! გაახლებთ ამასთანავე სამ მანეთს ფულს და გთხოვთ ეს ჩემი წვლილიც მიიღოთ „სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობის“ სასარგებლოდ. კეშმარიტად მაგ დაწესებულება დიდმნიშვნელოვანია ჩვენ სამღვდლოებისათვის. მაღლი და კურთხევა უფლისა ღვისისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეი იყოს მაგ ნორჩს და სიმპატიურ დაწესებულებაზე. პატივისცემა და სახელი მაგ დიად საქმეში მოთავეს და მშრომელს. წრფელი სულითა და გულით ვუსურვებ მას კეთილ წარმატებას, კეთილ დღეობას, გამარჯვებას და კეთილ ნაყოფს.

დაბა ქიათურა, 14 ივლისი, 1910 წელსა.  
—ულრმესი პატივისცემით დავშთები თქვენი მორჩილი მღვდელი მუსარათნ ვაშაძე.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამდლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეშავაძე